ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№13

ქ. აბაშა 6 ოქტომბერი 2011 წელი

1. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 6 ოქტომბერი 2011 წლის.

ერთის მხრივ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებასა, (შემდგომში „შემსყიდველი")
მისამართი: ქ. აბაშა, უ. კაჭარავას ქ. № 2;
ანგ. №GE57LB0115150854046000, საიდენტიფიკაციო კოდი 222450121,
ლიბერთი ბანკის აბაშის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22
და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „ირმა ნაჭყებია" (შემდგომში „მიმწოდებელი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 02001019362
მისამართი: ქ. აბაშა, თავისუფლების ქ. №130
ანგ. №GE93LB0112112441428000
ბ/ანგ) LBRTGE22
შორის და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტისა და კლასიფიკატორის კოდის დასახელება

- 09100000 – საწვავი
- აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმზრდელო დაწესებულების სახსრებით ხის საწვავის, შეშის სახელმწიფო შესყიდვა (CPV09111400)
- მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" ხის საწვავი შეშა 180 მ³. 1 (ერთი) მ³ ღირებულება 45 (ორმოცდახუთი) ლარი

„მიმწოდებელი" მიაწვდის „შემსყიდველს" სხვადასხვა სახის საქონელი.

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ხის საწვავი (შეშა)	მ³	180	8100	2011წელი	ქ. აბაშა უ. კაჭარავას №2
	ჯამი:			8100		

3. საქონლის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

- საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ 2011წლის 15 ნოემბრამდე
- საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის ადგილსამყოფელზე დანართი №1-ში (ფასების ცხრილი) მითითებულ მისამართზე.
- მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ხარისხიანი საქონელი

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიწოდება დასრულებლად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან და სათანადო საგადახდო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს ინსპექტირების ჯგუფი.

შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრიას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვალუტა, ვადები და ადგილი

- ანგარიშწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტი:

სასაქონლო ზედნადები

მიღება ჩაბარების აქტი

- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მომხმარებლის მიერ წამოდგენილი სათანადო საგადასახადო დოკუმენტაციისა და ინსპექტირების ჯგუფის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 8100 (რვაათასასი) ლარს
- ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შემდეგ 2011 წლის 17 ნოემბრამდე
- ანგარისწორების ადგილია – ქ. აბაშა

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„შემსყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებელი" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

„შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელ"-ს მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ განხორციელოს ანგარიშსწორება.

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების ჯგუფის) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

- ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შენთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მეორე მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესახრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

9.- დავის გადაწყვეტის წესი

შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოთ სასამართლოს.

10. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- შემსყიდველს ან ინსპექტირების ჯგუფს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შესყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის სამუშაო პირობებით.
- შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარისწორებით პროცესის რეგულირება.

11. ხელშეკრულების დადების საფუძველი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის და მე-2 მუხლის „ს" პუნქტის საფუძველზე აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2011 წლის 3 ოქტომბერს (წერილი №06/457) დაგერთო ნება გადაუდებელი აუცილებლობის გამო შეეისყიდოთ ხის საწვავი (შეშა). რომელიც ხელს უშლის ორგანიზაციის ფუნქციონირებას კერძოდ: აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებაში შემავალი ს/ბაღების შეშით მომარაგებას.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელმეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 6 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

ყველა ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი:

აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო

დაწესებულების დირექტორი: /დ. ელიავა/

მიმწოდებელი: ინდ. მეწარმე „ირმა ნაჭყებია" /ირმა ნაჭყებია/

დანართი №1

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

№	ს/ბაღების დასახელება	გასანაწილებელი შეშის რაოდენობა მ³	შეშის ფორმ. დაჭრილი მორებად	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	მისამართები
1	№1 ს/ბ-ბაღი	30				ქ. აბაშა უკაჭარავას ქ. №5
2	გეზათის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. გეზათი
3	სამიქაოს ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. სამიქაო
4	მაიდნის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. მაიდანი
5	სეფიეთის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. სეფიეთი
6	ძვ. აბაშის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. ძვ. აბაშა
7	მარნის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. მარანი
8	გაუწყინარის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. გაუწყინარი
9	პ/მაისის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. პ/მაისი
10	ქოლომნის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. ქოლომანი
11	ტყვირის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. ტყვირი
12	I-კოდორის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. I - კოდორი
13	ეწერის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. ეწერი
14	სუჯუნის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. სუჯუნა
15	ზანათის ს/ბაღი	10	„---------"			სოფ. ზანათი
16	ადმინისტრაცია	10	"---------"			ქ. აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №2
ჯამი:		180				

მიმწოდებელი: 02001019362

შემსყიდველი: